

შპს ზუმერი ჯორჯია

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

**საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020
წლის 31 დეკემბერს**

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	15
5. ამონაგები	20
6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	21
7. ადმინისტრაციული ხარჯები	21
8. მიწოდების ხარჯები	22
9. საგარანტიო ხარჯები.....	22
10. ძირითადი საშუალებები	23
11. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	23
12. მარაგები.....	24
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	24
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	25
15. მიღებული სესხები	26
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
18. პირობითი ვალდებულებები	28
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	28
20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	29

მმართველობის ანგარიშგება.....	38
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზუმერი ჯორჯიას“ მეწილეებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზუმერი ჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ, 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

12 აგვისტო 2021 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზუმერი ჯორჯიას“ მეწილეებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზუმერი ჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შეცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ, 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

12 აგვისტო 2021 წელი

შპს ზუგდიდის ქარხანა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	176,446,374	167,858,869
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(161,592,066)	(156,435,290)
საერთო მოგება		14,854,308	11,423,579
სხვა შემოსავალი		1,163,740	458,609
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,322,759)	(2,029,312)
მიწოდების ხარჯები	8	(7,823,749)	(6,343,412)
საგარანტიო ხარჯები	9	(386,811)	(288,096)
საოპერაციო მოგება		5,484,729	3,221,368
ფინანსური ხარჯი		(1,269,031)	(1,158,142)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(1,844,411)	(734,903)
მოგება დაბეგვრამდე		2,371,287	1,328,323
მოგების გადასახადის ხარჯი		(88,500)	(165,000)
მთლიანი სრული შემოსავალი		2,282,787	1,163,323

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2021 წლის 12 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ლ. გაფრინდაშვილი

მთავარი ბუღალტერი

მ. მხეიძე

შპს ზუგდიდის ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	176,446,374	167,858,869
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(161,592,066)	(156,435,290)
საერთო მოგება		14,854,308	11,423,579
სხვა შემოსავალი		1,163,740	458,609
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,322,759)	(2,029,312)
მიწოდების ხარჯები	8	(7,823,749)	(6,343,412)
საგარანტიო ხარჯები	9	(386,811)	(288,096)
საოპერაციო მოგება		5,484,729	3,221,368
ფინანსური ხარჯი		(1,269,031)	(1,158,142)
ზარალი საკუროს სხვაობიდან, წმინდა		(1,844,411)	(734,903)
მოგება დაბეგვრამდე		2,371,287	1,328,323
მოგების გადასახადის ხარჯი		(88,500)	(165,000)
მთლიანი სრული შემოსავალი		2,282,787	1,163,323


ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2021 წლის 12 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ლ. გაურინდაშვილი

მთავარი ბუღალტერი



მ. მხეიძე

შპს ზუმერი ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	1,584,889	1,071,259
აქტივების გამოყენების უფლება	11	7,424,704	7,354,044
არამატერიალური აქტივები		201,824	201,491
		9,211,417	8,626,794
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	9,186,172	8,840,074
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	1,092,496	1,694,306
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,673,045	1,445,702
		11,951,713	11,980,082
სულ აქტივები		21,163,130	20,606,876
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10	10
გაუნაწილებელი მოგება		5,377,237	3,595,950
სულ კაპიტალი		5,377,247	3,595,960
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	530,965	935,822
საიჯარო ვალდებულებები	11	6,765,634	6,121,912
		7,296,599	7,057,734
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,378,083	4,014,321
საგადასახადო ვალდებულებები		12,065	1,033,518
მიღებული სესხები	15	2,452,949	2,748,825
საიჯარო ვალდებულებები	11	2,420,323	1,923,308
საგარანტიო ანარიცხები	9	225,864	233,210
		8,489,284	9,953,182
სულ ვალდებულებები		15,785,883	17,010,916
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,163,130	20,606,876

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ზუშერი ჯორჯია

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2018	10	3,367,627	3,367,637
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,163,323	1,163,323
გამოცხადებული დივიდენდები	-	(935,000)	(935,000)
31.12.2019	10	3,595,950	3,595,960
მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,282,787	2,282,787
გამოცხადებული დივიდენდები	-	(501,500)	(501,500)
31.12.2020	10	5,377,237	5,377,247

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ზუგდიდის ქარხანა

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,371,287	1,328,323
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		2,410,325	2,233,646
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერის ხარჯი	7	17,664	8,223
საგარანტიო ანარიცხების ცვლილება	9	(7,346)	(10,129)
ფინანსური ხარჯი	15	1,269,031	1,158,142
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		14,590	42,889
ზარალი საკუროს სხვაობიდან, წმინდა		1,844,411	734,903
საიჯარო ვალდებულებების შეღავათიდან მიღებული შემოსავალი		(818,883)	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე			
მარაგების ზრდა		(346,098)	(2,491,485)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/ შემცირება		583,709	(364,230)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(356,973)	1,346,345
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		(1,021,453)	(846,137)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
გადახდილი მოგების გადასახადი		(88,500)	(165,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(833,697)	(496,211)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(30,107)	(118,858)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
ფულადი სახსრების საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება		53,643,075	30,300,701
სესხების გადახდა		(55,107,959)	(29,888,759)
პროცენტების გადახდა		(570,777)	(465,191)
საიჯარო ვალდებულების ძირის გადახდა		(1,388,682)	(1,871,011)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა		(698,254)	(692,951)
დივიდენდის გაცემა		(501,500)	(935,000)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/ (შემცირება)			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში			
ფულადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი	14	(156,520)	(116,893)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს			

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ზუმერი ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ზუმერი ჯორჯია" (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 202462717 დაარსდა 2009 წელს. კომპანია ახორციელებს საბითუმო და საცალო ვაჭრობას საყოფაცხოვრებო ტექნიკით და აქსესუარებით.

კომპანიას არ ყავს მაკონტროლებელი პირი და კაპიტალის წილობრივი ფლობა პროცენტულად 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წილის მფლობელები

	31.12.2020	31.12.2019
გიორგი მუშკუდიანი	24%	-
ვაჟა რეხვიაშვილი	20%	20%
დიმიტრი კიკაჩიშვილი	20%	20%
გოჩა სამხარაძე	16%	40%
ლევან გაფრინდაშვილი	10%	10%
დავითი კვარაცხელია	6%	6%
გიორგი თუთარაშვილი	4%	4%
	100%	100%

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ცაბაძის ქ. #8.

2. მომზადების საფუძვლები

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს—ები) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, დამრგვალების გარეშე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს—ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას და მეწილეებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ზომები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, კომპანიის საქმიანობის ჩათვლით.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კომპანიამ 2020 წლის მარტში დახურა მაღაზიები გარკვეული პერიოდით და თანამშრომლები გადაიყვანა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომპანიას ონლაინ გაყიდვები მხოლოდ რამდენიმე დღით ჰქონდა შეჩერებული. 2020 წლის მაისიდან ივნისამდე პერიოდში კომპანიამ ეტაპობრივად გახსნა ყველა მაღაზია და სრულად განაახლა ოპერირება. ამ ეტაპზე კომპანია სრული დატვირთვით განაგრძობს საოპერაციო საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და რეაგირებებს გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს გავლენა კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა არ არის კითხვის ნიშნის ქვეშ.

ამ ეტაპზე კომპანია სრული დატვირთვით განაგრძობს საოპერაციო საქმიანობას. ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა არ არის კითხვის ნიშნის ქვეშ.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);

2020 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა ცვლილებები ფასს 16-ში, რომელიც გამოიყენება საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა:

(ა) საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;

(ბ) საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და

(გ) იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

საიჯარო ქირის დათმობები, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, შეიძლება აღრიცხულ იქნას გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ მოიჯარე არ შეაფასებს, იჯარის მოდიფიკაციას წარმოადგენს თუ არა საიჯარო ქირის დათმობა. დათმობების აღრიცხვისას მოიჯარეები იყენებენ ფასს 16-ის სხვა მოთხოვნებს.

კომპანიამ აირჩია გამოიყენოს გამარტივებული მიდგომა საიჯარო ქირის ყველა დათმობისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს. კომპანიამ გამარტივებული დათმობა გამოიყენა რეტროსპექტულად, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გამოყენებულია ყველა დათმობაზე, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს 2020 წლის მარტიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა რომ მომხდარიყო, როგორც საიჯარო მოდიფიკაციები, კომპანიას მოუწევდა საიჯარო ვალდებულებების თავიდან შეფასება, ანაზღაურებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით, განახლებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, აქტივების გამოყენების უფლებაში შესაბამისი ეფექტის გათვალისწინებით. გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, კომპანია არ არის ვალდებული შეაფასოს საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და შედეგად საიჯარო ვალდებულების ცვლილების ეფექტი აისახება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მოვლენა ან პირობები, რომელიც იწვევს საიჯარო ქირის დათმობას.

გამარტივებული მიდგომის ეფექტი დეტალურად წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში.

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალ ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საწარმო აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- (i) საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- (ii) ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- (iii) ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორიცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა

ბ) ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. კომპანიამ გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-20 შენიშვნაში.

გ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ ალიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-12 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დ) საგარანტიო ანარიცხები

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახდენს ძირითადად 1 წლიანი საგარანტიო მომსახურების პირობით. პროდუქციის რეალიზაციისთანავე კომპანია აღიარებს მიმდინარე ვალდებულებას საგარანტიო ანარიცხის სახით. ანარიცხის დასათვლელად კომპანია იყენებს წარსულ გამოცდილებას გაყიდვებისა და გაწეული საგარანტიო ხარჯების სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების გზით.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით.

ე) სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ზუმერი ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური განყოფილებისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
ფული და ფულის ეკვივალენტები

31.12.2020

838,010

1,673,045

2,511,055

31.12.2019

1,570,994

1,445,702

3,016,696

ფინანსური ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
მიღებული სესხები

9,185,957

3,246,412

2,983,914

15,416,283

8,045,220

3,913,511

3,684,647

15,643,378

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემაჯალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

შპს ზუგდიდის ქარხანა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიას აქვს კოვენანტები, რომელთა დაკმაყოფილება ევალება ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების ხელშეკრულების მიხედვით. კოვენანტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

კომპანია ახდენს კაპიტალის მონიტორინგს კოეფიციენტით - აღებული ვალდებულებების შეფარდება კაპიტალთან. აღებული ვალდებულებები გამოითვლება მიღებული სესხების ფულისა და ფულის ეკვივალენტებით შემცირებით.

	31.12.2020	31.12.2019
მიღებული სესხები	2,983,914	3,684,647
საიჯარო ვალდებულებები	9,185,957	8,045,220
მინუს: ფული და ფულის ეკვივალენტები	(1,673,045)	(1,445,702)
წმინდა ვალდებულება	10,496,826	10,284,165
სულ კაპიტალი	5,377,247	3,595,960
ფულის და ფულის ეკვივალენტებით შემცირებული სესხების შეფარდება კაპიტალთან (%)	195%	286%

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია დოლარში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმ დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

შპს ზუმერი ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020		31.12.2019	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%- ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(10,786)	10,786	(13,962)	13,962
გავლენა კაპიტალზე	(10,786)	10,786	(13,962)	13,962

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს. შედეგად, დაშვებების რეალურმა ცვლილებამ შესაძლებელია გავლენა არ მოახდინოს კომპანიის ვალდებულებებზე.

ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს კომპანიის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	31.12.2020
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	838,010	-	838,010
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,638,042	35,003	1,673,045
	2,476,052	35,003	2,511,055
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	8,037	9,177,920	9,185,957
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,246,412	-	3,246,412
მიღებული სესხები	-	2,983,914	2,983,914
	3,254,449	12,161,834	15,416,283
ღია სავალუტო პოზიცია	(778,397)	(12,126,831)	

შპს ზუმერი ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	დოლარი	31.12.2019
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,570,994	-	1,570,994
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,431,178	14,524	1,445,702
	3,002,172	14,524	3,016,696
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	15,385	8,029,835	8,045,220
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,348,424	565,087	3,913,511
მიღებული სესხები	71,148	3,613,499	3,684,647
	3,434,957	12,208,421	15,643,378
ღია სავალუტო პოზიცია	(432,785)	(12,193,897)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი/ დოლარი	ლარი/ დოლარი
2020	20%	20%
მოგება/(ზარალი)	(2,425,366)	2,425,366
2019	ლარი/ დოლარი	ლარი/ დოლარი
20%	20%	
მოგება/(ზარალი)	(2,438,779)	2,438,779

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

შპს ზუგდიდის ქარხანა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	838,010	1,570,994
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)	1,444,268	1,143,477
	2,282,278	2,714,471

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2020	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	3,084,528	7,232,525	129,398	10,446,451
მიღებული სესხები	2,596,596	532,077	-	3,128,673
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,246,412	-	-	3,246,412
	8,927,536	7,764,602	129,398	16,821,536
31.12.2019	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	1,923,308	7,031,713	753,191	9,708,212
მიღებული სესხები	2,929,495	983,292	-	3,912,787
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,913,511	-	-	3,913,511
	8,766,314	8,015,005	753,191	17,534,510

5. ამონაგები

ამონაგები წარმოადგენს ელექტრო-მოწყობილობების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, ამონაგები რეალიზებული საქონლის სახეობების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ციფრული ტექნიკა და აქსესუარები	171,232,264	163,445,407
სხვა	5,214,110	4,413,462
	176,446,374	167,858,869

შპს ზუმერი ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ამონაგები (გაგრძელება)

ხელშეკრულება და სახელშეკრულებო ვალდებულებები

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან საქონელს. არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს მოძრაობას სახელშეკრულებო ვალდებულებებში

	2020	2019
1 იანვარი (შენიშვნა 16)	100,810	91,646
31 დეკემბერი (შენიშვნა 16)	131,671	100,810
ზრდა/ (კლება)	30,861	9,164

კომპანიას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	31.12.2020	31.12.2019
ციფრული ტექნიკა და აქსესუარები	(157,618,722)	(152,905,173)
სხვა	(3,973,344)	(3,530,117)
	(161,592,066)	(156,435,290)

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(1,487,596)	(1,182,913)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(246,725)	(133,025)
საკონსულტაციო ხარჯი	(113,824)	(98,640)
საკანცელარიო ხარჯი	(95,630)	(78,340)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(42,662)	(235,497)
დაზღვევის ხარჯი	(34,783)	(26,099)
დაცვის ხარჯი	(26,375)	(25,335)
რემონტის ხარჯი	(18,584)	(36,938)
მოთხოვნების ჩამოწერის ხარჯი	(17,664)	(8,223)
საწვავის ხარჯი	(13,083)	(20,205)
მივლინების ხარჯი	(4,401)	(15,372)
სხვა	(221,432)	(168,725)
	(2,322,759)	(2,029,312)

შპს ზუგდიდის ქარხანა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

8. მიწოდების ხარჯები

	2020	2019
ცვეთის ხარჯი	(2,163,600)	(2,100,621)
შრომის ანაზღაურება	(2,346,020)	(1,898,232)
რეკლამის ხარჯი	(1,452,898)	(1,412,659)
ტერმინალის საკომისიო	(713,319)	(276,772)
მოკლევადიანი და ცვლადი იჯარის ხარჯი	(291,993)	(192,853)
ტრანსპორტირების ხარჯი	(213,105)	(64,173)
კომუნალური ხარჯები	(163,708)	(202,708)
დასუფთავების ხარჯი	(126,120)	(68,865)
კომუნიკაციის ხარჯი	(61,353)	(57,118)
სხვა	(291,633)	(69,411)
	(7,823,749)	(6,343,412)

9. საგარანტიო ხარჯები

საგარანტიო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საგარანტიო ხარჯი	(386,811)	(288,096)
	(386,811)	(288,096)

საგარანტიო ანარიცხის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	233,210	243,339
საგარანტიო ანარიცხის გამოყენება	(233,210)	(243,339)
მიმდინარე წელს შექმნილი ანარიცხის გამოყენება	(160,947)	(54,886)
საგარანტიო ხარჯის დარიცხვა	386,811	288,096
31 დეკემბერი	225,864	233,210

შპს ზუგდიდის ქარხანა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.12.2018	963,972	726,905	147,822	29,777	1,868,476
შემოსვლა	262,043	155,964	30,894	47,310	496,211
გასვლა	(417,877)	(245,194)	(57,677)	(29,948)	(750,696)
31.12.2019	808,138	637,675	121,039	47,139	1,613,991
შემოსვლა	557,294	188,945	42,126	45,332	833,697
გასვლა	(24,521)	(63,948)	(14,326)	-	(102,795)
31.12.2020	1,340,911	762,672	148,839	92,471	2,344,893
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2018	(433,705)	(426,330)	(85,540)	(18,207)	(963,782)
ცვეთა	(146,343)	(111,323)	(22,165)	(6,926)	(286,757)
გასვლა	388,714	245,190	56,878	17,025	707,807
31.12.2019	(191,334)	(292,463)	(50,827)	(8,108)	(542,732)
ცვეთა	(139,605)	(124,331)	(26,627)	(14,914)	(305,477)
გასვლა	24,521	49,358	14,326	-	88,205
31.12.2020	(306,418)	(367,436)	(63,128)	(23,022)	(760,004)
საბალანსო ღირებულება					
31.12.2019	616,804	345,212	70,212	39,031	1,071,259
31.12.2020	1,034,493	395,236	85,711	69,449	1,584,889

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ისეთი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომლებიც სრულად არის გაცვეთილი და რომელთა გამოყენება გრძელდება, ჯამურად შეადგენს 361,917 ლარს (2019 : 444,345 ლარი).

11. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართი ადმინისტრაციული ოფისისთვის და მაღაზიებისათვის, საიჯარო გადასახდელები ძირითადად შედგება ფიქსირებული ნაწილისაგან და ძირითადად წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში, დოლარში. საიჯარო ხელშეკრულებების ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 6%-9%-ს. აქტივების გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივების გამოყენების უფლება	2020	2019
1 იანვრის მდგომარეობით	7,354,044	8,964,311
შემოსვლა	2,003,799	308,508
შეფასების ცვლილება	141,935	-
ცვეთა	(2,075,074)	(1,918,775)
31 დეკემბრის მდგომარეობით	7,424,704	7,354,044

შპს ზუგდიდის ქარხანა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები	2020	2019
1 იანვრის მდგომარეობით	8,045,220	8,964,311
შემოსვლა	2,003,799	308,508
შეფასების ცვლილება	141,935	-
საპროცენტო ხარჯი	698,254	692,951
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(2,086,936)	(2,563,962)
საიჯარო ვალდებულებების დათმობა*	(818,883)	-
კურსთა შორის სხვაობა	1,202,568	643,412
31 დეკემბრის მდგომარეობით	9,185,957	8,045,220

(*) - კომპანიამ 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიიღო გარკვეული ხასიათის შეღავათები მეიჯარეებისგან, რაც გამოწვეული იყო კოვიდ 19-ის პანდემიის შედეგად შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობით. აღნიშნული შეღავათი მოიცავდა 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში სახელშეკრულებო პირობების შესაბამისი გარკვეული საიჯარო გადახდების დათმობას.

კომპანიამ, 2020 წლის პერიოდში მიღებული იმ საიჯარო გადახდების დათმობისთვის, რომლებიც შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, გამოიყენა ფასს 16-ის მიხედვით პრაქტიკული ხასიათის შეღავათი.

პრაქტიკული ხასიათის შეღავათის გამოყენების შედეგად კომპანიის მთლიანი საიჯარო ვალდებულებები შემცირდა 818,883 ლარის ოდენობით. აღნიშნული შემცირების ეფექტი ასახულია იმ პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში „სხვა შემოსავლის“ კლასიფიკაციით, რომელსაც გადახდები მიეკუთვნებოდა,

12. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.12.2020	31.12.2019
ციფრული ტექნიკა და აქსესუარები	8,737,592	8,297,722
სხვა	448,580	542,352
	9,186,172	8,840,074

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მარაგებით სრულად.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	198,273	814,808
მოთხოვნები ბანკების მიმართ *	639,737	756,186
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	254,486	123,312
	1,092,496	1,694,306

(*) - მოთხოვნები ბანკების მიმართ წარმოადგენს განვადებით რეალიზაციის შემთხვევაში წარმოქმნილ მოთხოვნებს, რომლებიც, როგორც წესი, რამდენიმე დღეში იფარება შესაბამისი საბანკო ინსტიტუტების მიერ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება ელექტრო-ტექნიკის რეალიზაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნებისგან.

კომპანიას ჰყავს მრავალი მომხმარებელი, ამიტომ არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი თანდაყოლილი საკრედიტო რისკი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საეჭვო. კომპანია ასევე ახდენს რეგიონული და გლობალური ეკონომიკური გარემოებების და მათი საპროგნოზო მაჩვენებლების მონიტორინგს და იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი არაარსებითია და შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ.

ახალი მომხმარებლის მიღების წინ კომპანია აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს.

ფინანსური მოთხოვნების ვადაგადაცილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ვადადაუმდგარი	676,492	1,321,886
ვადაგადაცილებული	161,518	249,108
0-დან 3 თვემდე	40,779	20,546
3-დან 6 თვემდე	30,227	2,408
6-დან 9 თვემდე	41,072	1,071
9-დან 12 თვემდე	2,501	13,811
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	46,939	211,272
	838,010	1,570,994

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,415,507	1,135,079
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	222,535	296,099
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	28,761	8,398
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	6,242	6,126
	1,673,045	1,445,702

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შპს ზუმერი ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. მიღებული სესხები

მიღებული მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები	4%-11%	2,448,086	2,452,522
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	18%-24%	4,863	296,303
		2,452,949	2,748,825

მიღებული გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები	4%-11%	530,965	935,822
		530,965	935,822

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ფიზიკური პირების პირად საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, რომლებთანაც კომპანიას აქვს გაფორმებული სარგებლის ხელშეკრულებები და კომპანიის დამფუძნებლის პირად საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მარაგებით სრულად.

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	3,684,647	3,106,464
ფულადი ნაკადები	(2,035,661)	(53,249)
არაფულადი ნაკადები:		
წლის განმავლობაში დარიცხული ფინანსური ხარჯი	570,777	465,191
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	764,151	166,241
31 დეკემბერი	2,983,914	3,684,647

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,246,412	3,913,511
არა ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	131,671	100,810
	3,378,083	4,014,321

ფინანსური ვალდებულებების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
სხვა*	196,744	198,288
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
სხვა*	-	565,030
მიღებული სესხები		
დამფუძნებელი	4,863	296,303
საიჯარო ვალდებულებები		
სხვა*	8,037	15,385

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ამონაგები		
სხვა*	76,023	6,522
ადმინისტრაციული ხარჯები		
სხვა*	(394,593)	(296,909)
ფინანსური ხარჯი		
დამფუძნებელი	(160,978)	(140,378)
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება	(427,376)	(343,004)

2020 წლის განმავლობაში კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან (სხვა*) განხორციელებული სავაჭრო ოპერაციები შეადგენდა 140,076,134 ლარს (2019: 142,307,739 ლარი).

(*) - წარმოდგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

18. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობითი მოგების გადასახადი მომავალში გასანაწილებელი მოგების მიხედვით შეადგენს 948,924 ლარს.

მიღებული სესხები

კომპანიას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებთან დაკავშირებით ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულ სესხებთან დაკავშირებით არსებული ფინანსური კოვენანტები:

- ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBITDA) 300%-ზე მეტი. (EBITDA) - საოპერაციო მოგება საპროცენტო ხარჯების, ცვეთის, ამორტიზაციისა და გადასახადების გარეშე.
- სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1,3 დონეზე DSCR (P&L based). DSCR - წმინდა საოპერაციო მოგების შეფარდება მიმდინარე სასესხო ვალდებულებებთან.
- კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3.0 დონეზე (Interest coverage Ratio). ICR კოეფიციენტი იანგარიშება როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება EBITDA - Maintenance Capex შეფარდებული კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელ საპროცენტო ხარჯებთან.

იმ შემთხვევაში, თუ დარღვეული პირობები არ შესრულდება, ან დარღვევა მეორდება სისტემატურად, ბანკი უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და უკან გამოითხოვოს სესხის თანხა.

2020 და 2019 წლების ბოლოს მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს მიღებულ სესხებთან დაკავშირებულ კოვენანტებს.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კუროსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ აქვს ისეთი საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა, რომელიც უნდა გაიშიფროს ფინანსურ ანგარიშგებაში.

20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

20.1 შეფასების და წარსადგენი ვალუტა

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

20.2 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას.

20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდეგ მოცემული აღბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

20.3 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე „კონტროლი“ მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლისათვის ელექტრო-ტექნიკის და დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი ელექტრონული მოწყობილობების მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამოჯვანა კონტრაქტის ფარგლებში პოდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება

20.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-7
ოფისის აღჭურვილობა	4-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-5
სატრანსპორტო საშუალებები	3-5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

20.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

კომპანიის არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება სააღრიცხვო პროგრამისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა 6 წელი.

20.6 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

20.7 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

20.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

20.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულებით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

20.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება შესაძლებელია მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

20.11 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმენა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განიჭებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

20.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

20.13 სახელმწიფო გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ კომპანია შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს და გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით აღიარდება მაშინ, როცა არსებობს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ:

ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავალი“. ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვითება შესაბამისი ხარჯებიდან.

20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

20.14 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. მოცემულ სტანდარტზე გადასვლის ეფექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 20. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და

20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ამორტიზაცია უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ამორტიზაცია ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ)

გავლენას ახდენს იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტის დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

20. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

20.15 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური

ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანიიდან მოხდება ეკონომიკური სარგებლის გასვლა მიმდინარე მოვალეობასთან დაკავშირებით, რომელიც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიშვა, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი. თუმცა, თუ ეკონომიკური სარგებლის გასვლა დამოკიდებულია მომავალში მოსახდენ მოვლენაზე ან არ არის შესაძლებელი მისი საიმედოდ შეფასება, ფინანსურ ანგარიშგებაში კეთდება განმარტებითი შენიშვნა პირობითი ვალდებულების სახით.

20.16 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება

2020 წელი

სარჩევი

1.	კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა.....	39
2.	კომპანიის ძირითადი კონკურენტები	44
3.	კომპანიის მიერ განხორციელებული შემუშავებებისა და დაკვირვებების მიმოხილვა	44
4.	დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	44
5.	კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები	44
6.	კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები	47
7.	განვითარების გეგმები	47
8.	კომპანიის რისკები და გაურკვევლობები	47

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზუმერი ჯორჯია“ ისტორიის ათვლა 2009 წლის 21 ოქტომბრიდან იწყება. თავდაპირველად კომპანიას მხოლოდ ერთი ფილიალი ჰქონდა თბილისში და ტელეფონების საბითუმო გაყიდვების მიმართულებით საქმიანობდა. კომპანიის საცალო ქსელის განვითარება მოგვიანებით, 3 წლის შემდეგ, დაიწყო.

დღესდღეობით ზუმერს მთელი საქართველოს მასშტაბით 17 ფილიალი აქვს და მომხმარებლებს საუკეთესო ციფრულ ტექნიკას (სმარტფონები, ფოტოაპარატები, ლეპტოპები, აუდიო სისტემები, აქსესუარები) სთავაზობს. წლების განმავლობაში კომპანიამ წარმატებით დაიმკვიდრა ადგილი საცალო გაყიდვებში და ბაზრის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. მიუხედავად მკაცრი კონკურენციისა, მომხმარებელზე მორგებულმა საფასო პოლიტიკამ, გამართულმა ლოგისტიკამ, თანმიმდევრულმა კომუნიკაციამ და ცვლილებებისადმი სწრაფი ადაპტაციის უნარმა ზუმერის ზრდა განაპირობა. ფიზიკური ვაჭრობის მიღმა, ზუმერი ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა ონლაინ გაყიდვების სფეროშიც და ეფექტიანად იყენებს მრავალარხიანი გაყიდვების სტრატეგიას. ფილიალებსა და ვებგვერდზე წარმოდგენილი ბრენდებისა და კატეგორიების მრავალფეროვნება კომპანიის წარმატებაში აგრეთვე ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ბაზრის სხვა მოთამაშეებისგან ზუმერს ბიზნესმოდელიც განასხვავებს. პროდუქციის ძირითადი ნაწილის იმპორტს ზუმერი სხვადასხვა ქვეყნიდან დამოუკიდებლად ახორციელებს. ეს მიდგომა კომპანიას შესაძლებლობას აძლევს, გაითვალისწინოს მომხმარებლების მოკლევადიანი მოლოდინები, იყოს მეტად მოქნილი სარეაქციო ფასებსა და სასაქონლო მარაგებში. სიახლეებისადმი სწრაფვა და გამბედაობა ზუმერს ეხმარება, უმტკივნეულოდ შეხვდეს ტექნიკის ინდუსტრიის ცვლებად ტენდენციებს.

მძლავრი კონკურენციის, მიკრო და მაკროეკონომიკური გამოწვევების, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული ცვალებადი ეკონომიკური ლანდშაფტის მიუხედავად, ზუმერი უკვე წლებია წარმატებით უმკლავდება წინააღმდეგობას და კონკურენტებთან მიმართებით განუხრელად აუმჯობესებს მაჩვენებლებს.

კომპანიის ფილიალები

დღეისათვის, „ზუმერი ჯორჯია“ ციფრული ტექნიკის ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს 7 ქალაქში 17 ფილიალით, სრულფასოვანი ინტერნეტმაღაზიით და ორი საბითუმო პუნქტით.

2020 წლის აგვისტოში, პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, დაემატა ახალი ლოკაცია ქავთარაძის ქუჩაზე, სითი მოლში. აღნიშნული ფილიალი მალევე გახდა გაყიდვების კუთხით ერთ-ერთი აქტიური ფილიალი.

კომპანიის მაღაზიების მისამართებია:

ინტერნეტ მაღაზია: <https://zoommer.ge/>

საბითუმო პუნქტები:

- თბილისი - წერეთლის გამზ. N1
- ქუთაისი - "გრანდ მოლის" - ჭავჭავაძის ქ. N67

თბილისის ფილიალები:

თბილისი	- წერეთლის გამზ. N1	+995 322 142 242
თბილისი	- ზ.გამსახურდიას (პეკინის) გამზირი N14ა	+995 322 435 811
თბილისი	- "თბილისი ცენტრალი"- III სართული	+995 599 862 449
თბილისი	- "გლდანი მოლი" - I სართული	+995 591 967 673
თბილისი	- "ისტ ფონთი" - ალ. თვალჭრელიძე N2	+995 591 340 476
თბილისი	- „თბილისი მოლი" - III სართული	+995 322 970 176
თბილისი	- City Mall საბურთალო პეტრე ქავთარაძის ქ. 1	+995 591 971 962
თბილისი	- "აქსის თაუერსი" (-I) სართული, ი.ჭავჭავაძის N37	+995 591 180 540
თბილისი	- "კიდობანი" - 0 სართული N51, ცაბაძის N8	+995 591 967 675

შპს ზუმერი ჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფილიალები რეგიონებში:

ქუთაისი	-	თამარ მეფის ქ. N3	+955 591 967 605
ქუთაისი	-	"გრანდ მოლის" - ჭავჭავაძის ქ. N67	+995 591 967 604
ბათუმი	-	ბარათაშვილის ქ. N57	+995 591 967 606
ბათუმი	-	"Black Sea Mall"- ტბელ აბუსერიძის N22	+995 591 310 257
რუსთავი	-	მეგობრობის გამზირი N16	+995 591 310 261
ზუგდიდი	-	ზვიად გამსახურდიას ქ. N19	+995 591 676 489
თელავი	-	დ. აღმაშენებლის ქ. N60	+995 595 069 853
ახალციხე	-	თამარ მეფის ქ. N9	+995 598 088 659

წლების მიხედვით ფილიალებზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:



ბიზნეს ოპერაციები

როგორც უკვე აღინიშნა, „ზუმერი ჯორჯია“ არის ციფრული ტექნიკის იმპორტიორი საქართველოში. პროდუქციის იმპორტი ხდება როგორც არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან ისე, გერმანია, აშშ და სხვა ქვეყნებიდან. გარდა ამისა, საქონლის შესყიდვა ხდება სხვადასხვა ადგილობრივი მომწოდებლისგანაც.

2020 წელს მსოფლიო პანდემიის ვითარებამ საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა ზუმერის ბიზნესი მოდელი. კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულმა საკარო შეზღუდვებმა რისკის ქვეშ დააყენა მარაგების დროულად შევსების საკითხი. ამ გამოწვევის საპასუხოდ, კომპანიის მენეჯმენტს მოუხდა სრულად გადაეწყო მომარაგების სქემა, რათა პროდუქციის მოსალოდნელი დეფიციტებისთვის აერიდებინა თავი და შედეგად, მომხმარებელთა შეკვეთების დაკმაყოფილება ყოველთვის სრულად და დროულად ხდებოდა.

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

პროდუქცია

ყოველწლიურად ზუმერი მომხმარებლებს მუდმივად მზარდ ასორტიმენტს სთავაზობს. თუ საწყის ეტაპზე კომპანიამ მხოლოდ მობილური ტელეფონების რეალიზაციით დაიწყო ოპერირება, დღეს უკვე ზუმერის პროდუქტის მიქსი მოიცავს:

- მობილურ ტელეფონებს;
- ფოტო აპარატებსა და ექშენ კამერებს;
- ლეპტოპებს;
- სათამაშო კონსოლებსა და დისკებს;
- წვრილ ტექნიკას (სმარტსაათები, ყურსასმენები, აუდიო სისტემები);
- ტელესკოპებს;
- ტელევიზორებს;
- დრონებს;
- სკუტერებს;
- აქსესუარებს (მობილური ტელეფონების ეკრანის დამცავები, ჩასადებები, კომპიუტერის აქსესუარები, დამტენები, კაბელები, აკუმულატორი დამტენები).
- სხვადასხვა ჭკვიან მოწყობილობებს.

ტრადიციულად, ზუმერის შემოსავლების დიდი წილი მოდის მობილური ტელეფონების რეალიზაციაზე. გამომდინარე აქედან, კომპანიის მთავარი ამოცანაა კონკურენტებთან შედარებით მაქსიმალურად დიდი და მრავალფეროვანი ასორტიმენტის შეთავაზება ყველაზე დაბალ ფასებში. ზუმერში წარმოდგენილია მობილური ტელეფონების თითქმის ყველა აქტუალური ბრენდი, ესენია:

- | | |
|-----------|-----------|
| • Samsung | • OnePlus |
| • Xiaomi | • Honor |
| • Apple | • Google |
| • Huawei | • Fly |
| • Realme | • BLU |
| • Nokia | • Sigma |
| | • Cat |

2020 წელს პანდემიით გამოწვეულმა მომხმარებლების ქცევის ცვლილებამ განსაკუთრებით გაზარდა მოთხოვნა ტელევიზორებზე, ტაბეტსა და ლეპტოპებზე. ზუმერმა შესაბამისად მოახდინა რეაგირება ბაზრის მოთხოვნაზე და გაზარდა პროდუქტების არჩევანი მოცემულ კატეგორიებში. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა შიაომის მოდელის ტელევიზორების გაყიდვაში ჩაშვება, ვინაიდან მოცემული ბრენდი საუკეთესო ხარისხს სთავაზობს მომხმარებლებს რელევანტურ ფასად.

გარდა ამისა, ქვეყანაში ოპერირება დაიწყო ელექტრო სკუტერების გაქირავების სხვადასხვა კომპანიამ. შედეგად, ამ სიახლემ გაზარდა მოთხოვნა სკუტერებზე. ზუმერი ბაზარზე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც აღნიშნული პროდუქტის საცალო გაყიდვა დაიწყო.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველმა მომხმარებელმა აქტიურად დაიწყო ჭკვიანი მოწყობილობების შეძენა. ზუმერმა თავის დროზე შეამჩნია ამ კატეგორიაზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია და დღითიდღე უფრო მრავალფეროვანს ხდის ამ კატეგორიას.

გარდა პროდუქტებისა, კომპანია მომხმარებლებს ასევე სთავაზობს მომსახურებას. ზუმერში შესაძლებელია როგორც ეკრანის დამცავების დაკვრის, ისე პროგრამული დახმარების მიღება.

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

საბითუმო გაყიდვები

საბითუმო გაყიდვების განვითარების პარალელურად, კომპანია მუშაობს საბითუმო გაყიდვებზეც. ზუშერს აქვს ორი საბითუმო პუნქტი თბილისსა და ქუთაისში. სწორედ აქედან მარაგებიან მთელი საქართველოს მასშტაბით, მობილური ტელეფონებითა და აქსესუარებით მოვაჭრე სხვადასხვა მცირე და საშუალო ზომის კომპანიები და დილერები.

სამწუხაროდ, მსოფლიოში გავრცელებულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეამცირა საბითუმო გაყიდვები. თუმცა, ეს მეტწილად გამოწვეული იქნა კომპანიის პოლიტიკის ცვლილებით, რომელიც მეტ პრიორიტეტს ანიჭებდა საცალო და ონლაინ გაყიდვებს. მას შემდეგ, რაც მდგომარეობა უფრო დასტაბილურდება, ზუშერის მენეჯმენტი კვლავ გეგმავს საბითუმო გაყიდვების გააქტიურებას.


ონლაინ გაყიდვები

ზუშერის მენეჯმენტისთვის კრიტიკულია ვებგვერდის დახვეწილობა, ვინაიდან საქართველოს მასშტაბით იზრდება ინტერნეტ პროდუქტების მოხმარება მობილური ტექნიკით. შესაბამისად, ზუშერის ვებგვერდზე მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა ცვლილებები დიზაინისა თუ ფუნქციონალის კუთხით. კომპანია ცდილობს დღითიდღე უფრო დახვეწილი და მოსახმარებლად მარტივი გახადოს საიტი. გვერდი ბევრ ინოვაციას მოიცავს და არის მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული. საიტზე გამარტივებულია ონლაინ განვადებების ფუნქციონალი. ასევე, დახვეწილია რეგიონებში მიწოდების ხარისხი. კერძოდ, მომხმარებლებს უმოკლეს ვადაში მიეწოდება პროდუქტები. ასევე, მაქსიმალურად იზრდება მიწოდების არეალიც.


აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2019 წლის განმავლობაში ყოველთვიურად იზრდებოდა რეალიზაცია ინტერნეტ მაღაზიიდან. 2020 წელს კი პირველი ოქტომბრის პირობებში, ინტერნეტ მაღაზია ერთადერთი წყარო აღმოჩნდა, საიდანაც მომხმარებლებს შეეძლოთ ზუშერის პროდუქციის შეძენა. სხვადასხვა გამოწვევების მიუხედავად, კომპანია წარმატებით გაუმკლავდა ამ პერიოდში ინტერნეტ მაღაზიაში შემოსულ საკმაოდ დიდი რაოდენობის შეკვეთებს. აღსანიშნავია, რომ ზუშერი ონლაინ მომსახურების ხარისხით ბევრად აღემატებოდა ბაზრის სხვა მოთამაშეებს. კომპანიამ ძალიან სწრაფად მოახდინა ადაპტაცია არსებულ პირობებთან და ყველა შეკვეთის მიწოდება უმოკლეს ვადაში ხდებოდა, თბილისში იმავე ან მომდევნო დღეს, რეგიონებში კი 2-დან 5 დღეში.

ორგანიზაციული სტრუქტურა

2020 წლის ბოლოს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 250-მდე ადამიანი, რომელთაგან დაახლოებით 57% მდებრობითი სქესის წარმომადგენელია. თანამშრომლების რიცხვი 2019 წელთან შედარებით 25%-ით გაიზარდა. ქვემოთ მოცემულია ცხრილი თანამშრომლების ასაკობრივი ჯგუფების გადანაწილება სქესის მიხედვით.



1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)



„ზუგდიდის ჯორჯია“ ცდილობს იყოს მაქსიმალურად დინამიური კომპანია, შესაბამისად მისი შიდა სტრუქტურაც მიმართულია ამ დინამიზმის შესანარჩუნებლად. თანამშრომლების დაახლოებით 30% - წარმოადგენს ადმინისტრაციის თანამშრომლები. ადმინისტრაცია დაყოფილია რამდენიმე დეპარტამენტად. ესენია:

- ფინანსური დეპარტამენტი
- ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
- შესყიდვების დეპარტამენტი
- საბითუმო გაყიდვებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტი
- საცალო გაყიდვების დეპარტამენტი
- ონლაინ გაყიდვების დეპარტამენტი
- იურიდიული დეპარტამენტი
- მარკეტინგის დეპარტამენტი

ყოველი დეპარტამენტის თანამშრომელი ანგარიშვალდებულია მის ხელმძღვანელთან, ხოლო დეპარტამენტის ხელმძღვანელები - დირექტორთან. დირექტორის მოადგილეს უშუალოდ ექვემდებარება საბითუმო გაყიდვებისა და ლოგისტიკის, ასევე შესყიდვების დეპარტამენტები.

ზუგდიდის მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. თანამშრომლებს სისტემატურად უტარდებათ ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის საცალო გაყიდვების დეპარტამენტის თანამშრომლები ყოველკვირულად ესწრებიან ტრენინგებს, რომლებიც ეხება კომპანიის სარეალიზაციო პროდუქციის სიდრმისეულ გაცნობას და მსოფლიო სიახლეებს ციფრულ ტექნიკაში. ასევე კომპანიის წინა ხაზის თანამშრომლებისთვის აქტიურად მიმდინარეობს მომსახურების ხარისხის გაზრდაზე მუშაობა. ამ მიზნით, საცალო თანამშრომლებს დისტანციურ რეჟიმში ჩაუტარდათ არაერთი მაღიან საინტერესო ტრენინგი.

გარდა ამისა, ზუგდიდის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლების პროფესიულ ზრდა/განვითარებას. შესაბამისად, კომპანიაში მიღებული პრაქტიკაა თანამშრომლების დაწინაურება. მაგალითად, მაღაზიაში ტექნიკური კონსულტანტის პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლები, შედეგებისა და შეფასების გათვალისწინებით მიიწვევენ კარიერულ საფეხურზე წინ და ამჟამად იკავებენ მაღაზიაში მენეჯერის ან/და ადმინისტრაციაში პასუხსაგებ თანამდებობებს.

2. კომპანიის ძირითადი კონკურენტები

საქართველოში ტექნიკის ბაზარზე საკმაოდ მკაცრი კონკურენციაა. აქ ოპერირებენ როგორც მსხვილი, ასევე წვრილი იმპორტიორები.

კომპანიის ძირითად კონკურენტებად მიიჩნევა შემდეგი მაღაზიათა ქსელები:

- ალტაოქეი
- ელიტ ელექტრონიქსი
- მეტრომარტი
- აი სფეისი
- აიპლიუსი
- Apple სიტი
- აიტექნიკი
- მეგატექნიკა

განსაკუთრებით მკაცრი კონკურენცია მიმდინარეობს პროდუქტის ფასებთან მიმართებაში. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ შპს „ზუმერი ჯორჯია“ მტკიცედ იკავებს ერთ-ერთ კონკურენტულ პოზიციას ციფრული ტექნიკის ბაზარზე.

ზუმერის კიდევ ერთი ძლიერი მხარეა ის ფაქტი, რომ ფილიალების მომარაგება ახალი მოდელებით მათი გამოშვების თარიღიდან ძალიან სწრაფად ხდება.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული შემუშავებებისა და დაკვირვებების მიმოხილვა


2020 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევისა თუ შემუშავების აქტივობებში.

4. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს ჩვენს კომპანიაში არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

5. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

შპს „ზუმერი ჯორჯია“ დაარსების დღიდან პროგრესირებს. ყოველწლიურად იზრდება კომპანიის ბრუნვა და აქტივები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნათლად ჩანს კომპანიის ამონაგების ზრდის ტრენდი ბოლო 5 წლის მანძილზე.



5. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

მიუხედავად პანდემიით გამოწვეული რთული ვითარებისა საქართველოსა თუ მსოფლიო ბაზარზე, 2020 წელი კიდევ უფრო წარმატებული აღმოჩნდა წინა პერიოდებთან შედარებით. რეალიზაცია 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 5.12 %-ით. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად შეიცვალა საოპერაციო მოგება. წმინდა მოგება კი 2020 წელს თითქმის გაორმაგდა გასულ პერიოდთან შედარებით.

	2020	2019	ცვლილება
ამონაგები (ლარი)	176,446,374	167,858,869	5.12 %
საოპერაციო მოგება (ლარი)	5,484,729	3,221,368	70.26 %
წმინდა მოგება (ლარი)	2,282,787	1,163,323	96.23 %

კომპანიის მომგებიანობის კოეფიციენტები შესადარისი მაჩვენებლებით მოცემულია შემდეგ ცხრილში. აღსანიშნავია, რომ ყველა მაჩვენებელზე ფიქსირდება ზრდა 2019 წელთან შედარებით.

	2020	2019	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	8.42%	6.81%	24%
საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/ამონაგები)	3.11%	1.92%	62%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	1.29%	0.69%	87%

მობილური ტელეფონების მსოფლიო ბაზარზე ფასები ძალიან სწრაფად იცვლება. ინოვაციური მოდელების დიდი სიჩქარით გამოჩენის შედეგად, ხდება კონკრეტული მოდელების გაიფხვრა. შესაბამისად, მარაგების გაყიდვების სიჩქარე კომპანიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ტექნიკის ბაზარზე მყოფი კომპანიებისთვის მარაგების ბრუნვადობის ხანგრძლივობის სიმცირე მის კონკურენტუნარიანობას ზრდის. რაც უფრო დიდი ხნით არის გაჩერებული ნივთი მაღაზიაში, მეტია მისი ხარჯი, და ნაკლები მიზეზი აქვს მომხმარებელს, რათა კიდევ ერთხელ ესტუმროს მაღაზიას ახალი პროდუქტებისთვის. ამის გათვალისწინებით, ზუგდიდის დიდ ყურადღებას უთმობს ბრუნვადობის ხანგრძლივობას.

ახალი პროდუქტის ხაზებისა და ბრუნვის ზრდის შესაბამისად, 2020 წელს კომპანიის მარაგების საშუალო ნაშთიც გაიზარდა. პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა გამოიწვია მარაგების ბრუნვის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში შექმნილი სირთულეებისა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული შეზღუდვების მიუხედავად აღნიშნული მაჩვენებელი უკეთესია 2018 წელთან შედარებით.

	2020	2019	2018
გაყიდული საქონლის თვითღირებულება (ლარი)	161,592,066	156,435,290	90,733,413
საშუალო ნაშთი (ლარი)	9,013,123	7,594,332	5,360,951
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი (თვითღირებულება/საშუალო მარაგები)	17.9	20.6	16.92
მარაგების ბრუნვის ხანგრძლივობა (დღე) (საშუალო მარაგები/თვითღირებულება*365)	20.36	17.72	21.57

5. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის დასადგენად (ROE) გამოყენებულია DuPont-ის ანალიზი. ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომელი ფინანსური მაჩვენებელი უწყობს ხელს ROE-ს ცვლილებებს. ქვემოთ ცხრილში მოცემულია 5 ნაბიჯიანი DuPont-ის ანალიზი 2020 და 2019 წლებისთვის.

	2020	2019	ცვლილება
ამონაგები (Sales)	176,446,374	167,858,869	5%
საოპერაციო მოგება (EBIT)	5,484,729	3,221,368	70%
მოგება დაბეგრამდე (EBT)	2,371,287	1,328,323	79%
წმინდა მოგება (NI)	2,282,787	1,163,323	96%
საშუალო აქტივები	20,885,003	16,032,068	30%
საშუალო კაპიტალი	4,486,603	3,481,799	29%
Interest Burden (EBT/EBIT)	43.23%	41.23%	5%
Tax Burden (NI/EBT)	96.27%	87.58%	10%
EBIT Margin (EBIT/ Sale)	3.11%	1.92%	62%
Net Profit Margin	1.29%	0.69%	87%
Total Asset Turnover Ratio	8.45	10.47	-19%
Leverage (Av.Assets / Av. Equity)	4.65	4.60	1%
ამონაგები კაპიტალზე (ROE)	51%	33%	52%

DuPont-ის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კაპიტალის უკუგების მთავარი დრეივერი შედარებით მაღალი აქტივების ბრუნვაობის კოეფიციენტი (8.45) და ფინანსური ლევერაჟია (4.65). მიუხედავად იმისა, რომ კორონა ვირუსით გამოწვეულმა სირთულეებმა კომპანიას შეუმცირა აქტივების ბრუნვაობის კოეფიციენტი, ამონაგები როგორც კაპიტალზე, ასევე აქტივებზეც მნიშვნელოვნად გაზარდილია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ანალიზი ცხადყოფს, რომ კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით რადიკალურად არის გაუმჯობესებული, რაც მენეჯმენტის ეფექტიანი მუშაობის და სწორად დასახული გეგმების შედეგია.

6. კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას კომპანიის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნაგანმარტებით შენიშვნებში.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის უფრო დეტალურად განხილვისათვის გაეცანით ფინანსურ ანგარიშგებას.

7. განვითარების გეგმები

კომპანიის მენეჯმენტი არ კმაყოფილდება მიღწეული შედეგით და გეგმავს, კვლავ შეინარჩუნოს ზრდის მაღალი ტემპი. კონკრეტული მიზნის მიღწევა იგეგმება საინტერესო ლოკაციებზე ახალი ფილიალების გახსნით, რათა უფრო ხელმისაწვდომი იყოს მომხმარებლებისთვის. ზუმერის სამომავლო გეგმებში შედის ასევე ინტერნეტ მაღაზიის კიდევ უფრო მეტად განვითარება, რაც გულისხმობს დამატებით ფუნქციონალებს, უკეთეს შეთავაზებებს, გადახდის მეთოდების დამატებასა და გამარტივებას.

ზუმერის სამომავლო გეგმები ასევე მიმართულია ოპერატიული ეფექტურობის ზრდისკენ. კომპანიის მენეჯმენტი მუშაობს სხვადასხვა მეთოდებზე, რათა მოხდეს ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზირება.

კომპანიაში ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ახალი პროდუქტების მოძიება-დამატების პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ პორტფელის მთავარი პროდუქტი ტრადიციულად ციფრული ტექნიკა დარჩება, კომპანიის თანამშრომლები მუშაობენ ქართული ბაზრისთვის ახალი და საინტერესო პროდუქტის ხაზის შეთავაზებაზე. 2020 წელს უკვე დაემატა რამოდენიმე ახალი პროდუქტის ხაზი, მათ შორის ჭკვიანი მოწყობილობები, ტელევიზორები. კომპანია მომავალშიც გეგმავს ინოვაციური და ქართველი მომხმარებლისთვის საინტერესო პროდუქციის დამატებას.

გარდა პროდუქტების მოძიება-დამატებისა, ზუმერი მუშაობს ახალი მეთოდებით შესთავაზოს მომხმარებელს თავისი პროდუქტები. ამ მხრივ, ზუმერი ჯორჯია ბევრ ინოვაციურ გეგმას პირდება საქართველოს ბაზარს.

შპს “ზუმერი ჯორჯიას” მენეჯმენტი დიდ ძალისხმევას ხარჯავს თავისი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. მომსახურების სფეროში პრობლემების აღმოსაჩენად დაინერგა კონსულტანტების დაკვირვებისა და შეფასების უახლესი ტექნოლოგიები. კომპანია ამ მხრივაც გეგმავს ახალი მიდგომების და ინსტრუმენტების დანერგვას, ასევე საკუთარი ტრენინგ ცენტრის გაფართოებას.

2020 წელს ასევე დაიწყო ახალი ERP სისტემის დანერგვის სამუშაოები. ახალ ინტერფეისში გადასვლა 2021 წელს იგეგმება. პროგრამაში გადასვლამდე კი აქტიურად მოხდება პროგრამის ტესტირება და თანამშრომლების დატრენინგება, რათა მაქსიმალურად მარტივად და შეფერხების გარეშე მოხდეს აღნიშნულ პროგრამაში მუშაობის დაწყება. ახალი ERP სისტემა მრავალ ფუნქციონალს სთავაზობს ზუმერს, რაც შესაძლებლობას მისცემს კომპანიას გააუმჯობესოს ისეთი პროგრამული პროცესები, როგორებიცაა შესყიდვები, გაყიდვები, მარაგების მართვა, ანალიზი. ზუმერისა და დეველოპერების ერთობლივი მუშაობით პროგრამა მაქსიმალურად გამარტივდება და აჩქარდება, რაც თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს როგორც თანამშრომლების, ისე მომხმარებლების კმაყოფილებაზე.

8. კომპანიის რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვა წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიის კრიტიკულად მნიშვნელოვან საყრდენს, ვინაიდან მოსალოდნელმა დაბრკოლებებმა და გაურკვევლობებმა შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე.

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში წამოჭრილ რისკებს, ზუმერი მათი დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

ამ ნაწილში ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობებია გაანალიზებული, რომლის წინაშეც ზუმერი ჯორჯია დგას. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფის მუშაობის შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯერ კიდევ უცნობმა რისკებმა და გაურკვევლობებმა, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ.

8. კომპანიის რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონა ვირუსმა ნეგატიური გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე. კარანტინის დაწესებამ კომპანიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დისტანციურ საქმიანობაზე გადასვლა გამოიწვია, რამაც ციფრულ ტექნიკაზე მოთხოვნა გაზარდა. კარანტინის რეჟიმში მუშაობამ ასევე საკმაოდ გააართულა პროდუქციის წარმოება მსოფლიო ბაზარზე და იმპორტ-ექსპორტი. სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობა სხვადასხვა ციფრულ ტექნიკაზე შექმნილი დეფიციტები.

ამასთანავე, პანდემიის პირობებში ოპერირება საკმაოდ აუარესებს საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა შეამციროს მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობა. პანდემიის ხანგრძლივობა და მისი ნეგატიური ეკონომიკური ეფექტი რისკს უქმნის კომპანიებს როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ბაზარზე.

ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 12 აგვისტოს კომპანიის დირექტორის მიერ:

დირექტორი

_____ ლევან გაფრინდაშვილი

შპს ზუმერი ჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

8. კომპანიის რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)


2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონა ვირუსმა ნეგატიური გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე. კარანტინის დაწესებამ კომპანიებისა და საგანამანათლებლო დაწესებულებების დისტანციურ საქმიანობაზე გადასვლა გამოიწვია, რამაც ციფრულ ტექნიკაზე მოთხოვნა გაზარდა. კარანტინის რეჟიმში მუშაობამ ასევე საკმაოდ გაართულა პროდუქციის წარმოება მსოფლიო ბაზარზე და იმპორტ-ექსპორტი. სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობა სხვადასხვა ციფრულ ტექნიკაზე შექმნილი დეფიციტები.

ამასთანავე, პანდემიის პირობებში ოპერირება საკმაოდ აუარესებს საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა შეამციროს მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობა. პანდემიის ხანგრძლივობა და მისი ნეგატიური ეკონომიკური ეფექტი რისკს უქმნის კომპანიებს როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ბაზარზე.

ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 12 აგვისტოს კომპანიის დირექტორის მიერ:

დირექტორი



ლევან გაფრინდაშვილი